# ჩვენი ძმა რესპუბლიკებში

## „ოჯახი" იზრდება...

სსრ კავშირის უდიდეს სპორტულ ნაგებობათა ოჯახს შეემატა ერთი „ძმა" — მინსკის სპორტის სასახლე როგორც თანამოძმეთა უმრავლესობა, ეს სასახლეც კომპლექსური დანიშნულებისაა. მის სარბიელზე შეიძლება მოეწყოს ხელოვნური საციგურაო, ტანმოვარჯიშეთა, მოკრივეთა, მოფარიკავეთა. ძალოსანთა და სპორტის სხვა სახეობათა ოსტატების გამოსვლები. რა შეჯიბრებაც უნდა იყოს, დარბაზი 4-დან 6 ათასამდე მაყურებელს დაიტევს.

ახალი სპორტის სასახლე აგებულია სტადიონისა და „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურის სახლის გვერდით და, ამრიგად, მათთან ერთ სპორტულ ანსამბლშია. იქვე ახლოს მოეწყობა ღია სარბიელი ხელოვნური ყინულით.

ტ. რიაბცევი.

მინსკი.

XVI პარტია

# მოსალოდნელია საინტერესო ბრძოლა

მოსკოვი, 18 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). პეტროსიან — სპასკის მატჩის XVI პარტიით, რომელიც დღეს ესტრადის თეატრში გათამაშდა, კიდევ უფრო გამძაფრდა ბრძოლა მსოფლიო პირველობაზე.

სპასკიმ ამჯერადაც ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი: იგი დაკმაყოფილდა ყველა ფიგურის განვითარებით. პეტროსიანიც მხოლოდ ძალთა მობილიზებაზე ზრუნავდა და საკუთარ ფიგურებს საიმედო ადგილსამყოფელი მიუჩინა.

მანევრული თამაშის შემდეგ სპასკიმ თავის ფიგურებს თავი მოუყარა მეფის ფრთაზე და პაიკების წინსვლით ხელთ იგდო ინიციატივა. მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში ამოიწურა თამაშისთვის განკუთვნილი დრო და პარტია გადაიდო.

ჭადრაკის გვირგვინი — მოსკოვი 1966

აი, პარტიაც:

**პეტროსიანი — სპასკი**

1. d4 g6 2. e4 ეg7 3. მf3 d6 4. კe2 e6 5. c3 მd7 6. 0—0 მe7 7. მbd2 b6 8. a4 a6 9. ეe1 კb7 10. კd3 0—0 11. მc4 ლe8 12. კd2 f6 13. ლe2 მფh8 14. მფh1 ლf7 15. მg1 e5 16. de fe 17. f3 მc5 18. მe3 ლe8 19. კc2 [illegible] 20. [illegible] 21. მf2 კe6 22. ლd1 ლf7 23. ეa3 კd7 24. მd3 მ:d3 25. კ:d3 კh6 26. კc4 ლg7 27. ეe2 მg8 28. კ:g8 ე:g8 29. მd5 კ:d2 30. ე:d2 კe6 31. b4 ლf7 32. ლe2 ეa7 33. ეa1 ეf8 34. b5 ეaa8 35. ლe3 ეab8 36. ეf1 ლg7 37. ლd3 ეf7 38. მფg1 ეbf8 39. მe3 g5 40. ეdf2 h5. პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა პეტროსიანმა.

ამრიგად, XVI პარტიას არ შეუცვლია ანგარიში — 8:7 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 95 (3072) 19 1966 წ. მაისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


# ფოტო თვალით





როგორც ვიუწყებოდით, გასულ კვირას მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, მხატვრული ტანვარჯიშის მრავალრიცხოვანმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი. სსრ კავშირის დედაქალაქისა და გდრ-ის სპორტსმენ ქალთა ორი სექსტეტი ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა...

ტაში უმეტესად მიმართული იყო მსოფლიოს ექსჩემპიონის, არქიტექტურული ინსტიტუტის სტუდენტ ლ. სავინკოვას, პედაგოგ ტ. კრავჩენკოს, ლაიპციგის ფიზკულტურისა და სპორტის უმაღლესი სკოლის სტუდენტების უ. ლემანისა და ი. ბინდერისადმი....

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ გამარჯვებულ ლ. სავინკოვას საგნით ვარჯიშისას და გერმანელ მეგობრებთან საუბრის დროს (მარცხნივ — III ადგილზე გასული ლემანი, მარჯვნივ — ბინდერი).

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.



სურათზე: სსრ კავშირის მოკრივეთა ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის მომენტი. რინგზე არიან მჩატე წონის წარმომადგენლები — ლიტველი ტ. ტომაშევიჩი (მარცხნივ) და ვ. ზენდალოვსკი (უკრაინა). ოქროს მედალი მოიხვეჭა უკრაინელმა მოკრივემ.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## კლასი „ა" I ჯგუფი

## 3 : 2

**მოსკოვი, 18 მაისი.** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და ლენინგრადის „ზენიტი".

მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:2.

## გუშინ...

შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

**კიროვაბადში** თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და თბილისის „ლოკომოტივი". გაიმარჯვეს თბილისელებმა — 3:2.

ბათუმის დინამოელები **ტალინში** შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს და დამარცხდნენ — 0:3.

## კლასი „ა" II ჯგუფი

◆ ნოვოსიბირსკი, 18 მაისი. გათამაშდა ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედალიც. ზემძიმე წონაში გაიმარჯვა უკრაინის წარმომადგენელმა ვ. ანდრეევმა — 525 კგ (მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ჟაბოტინსკი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა).

◆ **პოზნანი, 18 მაისი.** მშვიდობის XIX ველორბოლის IX ეტაპის (კუტნო—პოზნანი, 176 კმ) გუნდური ჩათვლა მოიგეს ბელგიელმა სპორტსმენებმა. 9 ეტაპის ჯამში კვლავ წინაა ფრანგი ბ. გიუიო. II ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი ი. დოხლიაკოვი.

◆ ვილნიუსი, 18 მაისი. აქ დამთავრდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ბელორუსიისა და პოლონეთის თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლიტვა, 2. ესტონეთი, 3. პოლონეთი. პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა ვილნიუსელმა ი. მოსკვიჩოვმა.


თბილისის „ლოკომოტივის" გამარჯვება 1-ლი გვ.

ყოჩაღ, ნანა! მე-2 გვ.

საქართველოს ფეხბურთის მენდვრეები მე-3 გვ.

დაუმარცხებლად ... II ადგილზე მე-4 გვ.

532 სმ ჭოკით! მე-4 გვ.

# პირველმაისელები — პირველნი

თბილისის „დინამოს" სტადიონზე ოთხ დღეს გრძელდებოდა დედაქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა მძლეოსნობაში. ტურნირში ყველა რაიონის საშუალო და უფროსი ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებისთვის საუკეთესოდ მომზადებული აღმოჩნდნენ 1 მაისის რაიონის სპორტსმენები: ისინი უძლიერესნი იყვნენ უფროსი ასაკის გოგონებში, ხოლო საშუალო ასაკის გოგონათა და ბიჭების ტურნირში II ადგილები მოიპოვეს და საერთო პირველობაც დაისაკუთრეს. ორივე ასაკის ჭაბუკთა ასპარეზობაში თავი ისახელეს 26 კომისრის რაიონის წარმომადგენლებმა, მაგრამ გოგონათა ტურნირში შედარებით ცუდი მაჩვენებლების გამო საერთო II ადგილს დასჯერდნენ. III იყო ორჯონიკიძის რაიონის ნაკრები. საშუალო ასაკის გოგონებში ქალაქის ჩემპიონი გახდა ლენინის რაიონის კოლექტივი.

პირად პირველობაში მონაწილეთაგან აღსანიშნავია ვ. კონდრატიევის (ოქტომბრის რაიონი) მაჩვენებელი 200 მეტრზე რბენაში — 22,3, რაც მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩება ლ. ანთაძის მიერ 12 წლის უკან დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდს უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის. ასევე I თანრიგის ნორმა შეასრულა 100 და 200 მეტრზე ამ ასაკის გოგონათა რბენაში. ვ. ქუთათელაძემ (1 მაისის რაიონი) — 12,3 და 25,3. დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვეს ნ. ლომიძემ, თ. რეფერტიმ, მ. ქარსელაძემ, დ. საბაურმა, ნ. გნიოტოვამ, ო. გულიევმა, ლ. კორკოტაძემ და სხვ.

**მხოლოდ ტექნიკური შედეგები...**

გამარჯვებულთა შედეგები ასეთია: **საშუალო ასაკი. გოგონები** — რბენა: 100 და 200 მ — ნ. ლომიძე (კირ. რ.) — 12,8 და 27,2, 500 მ — ლ. კორკოტაძე (26 კომ. რ.) — 1.24,0, 80 მ თარჯრბენი და სიმაღლეზე ხტომა — თ. რეფერტი (ლენ. რ.) — 12,5 და 135, სიგრძეზე ხტომა—ნ. გნიოტოვა (1 მაის. რ.) — 510, ბადრო — ნ. მაჭარაშვილი — 33,10, ბირთვი და შუბი — დ. საბაური (ორივენი — ლენ. რ.) — 12,20 და 37,63. **ბიჭები** — რბენა: 100 და 200 მ — მ. ქარსელაძე — 11.6 და 24,5, 400 მ — დ. კორინევიჩი (ორივენი — ლენ. რ.) — 55,6, 1.000 მ — ბ. ასათიანი (1 მაის. რ.) — 2.25,5, 110 მ თარჯრბენი — გ. ბეჟუაშვილი — 17,3, 5 კმ სპორტული სიარული — ო. გულიევი (ორივენი — ორჯ. რ.) — 27.09,7, ხტომა: სიგრძეზე — ლ. შახბაზოვი — 602, სიმაღლეზე — ლ. ქორიძე — 170, ჭოკით — ა. ბუსკაძე (ყველანი — 1 მაის. რ.) — 330, ბადრო — კ. შიპილოვი (26 კომ. რ.) — 36,42, ბირთვი — დ. გაჩეჩილაძე (ორჯ. რ.) — 12,23, შუბი — ტ. კრიკუნოვი — 46,71, ურო — ვ. კოტელნიკოვი (ორივენი — 26 კომ. რ.) — 44,60.

**უფროსი ასაკი. გოგონები** — რბენა: 100 და 200 მ — ვ. ქუთათელაძე (1 მაის. რ.) — 12,3 და 25,3, 400 მ—ს. არმუშევა (ლენ. რ.) — 1.03,9, 800 მ — ვ. კარპენკო (ორჯ. რ.) — 2.45,1, 80 მ თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა — ლ. ბალაშოვა (1 მაის. რ.) — 13,5 და 510, სიმაღლეზე ხტომა — ლ. მარგიევა (კირ. რ.) — 135, შუბი — ლ. ხარკოვსკაია (1 მაის. რ.) — 28,00, ბირთვი და ბადრო — ლ. ნარტავა (ორჯ. რ.) — 9,80 და 33,83, ხუთჭიდი — ც. ნიკურაძე (კალინ. რ.)— 3270, ესტაფეტა 4×100 მ — (1 მაის. რ.) — 51,3. **ჭაბუკები** — რბენა: 100 და 200 მ — ვ. კონდრატიევი (ოქტ. რ.) — 10,9 და 22,3, 400 მ — ტ. ტეკშტრემი (26 კომ. რ.) — 52,8, 800 მ — პ. ნონოვი (ოქტ. რ.) — 2.05,1, 1.500 მ — გ. ემინოვი (პირადი) — 4.23,0, 3.000 მ — პ. თელია (კალინ. რ.)— 9.42,3, 10 კმ სპორტული სიარული — ჟ. მგელაძე (ორჯ. რ.)—57.05,2, 200 მ თარჯრბენი — მ. ფრიდმანი (26 კომ. რ.) — 25,7, 110 მ თარჯრბენი — ვ. ჩერნოვი (ორჯ. რ.) — 15,6, ხტომა: სიმაღლეზე — ო. ჩახუნაშვილი (1 მაის. რ.) — 185, სიგრძეზე — ვ. ჩუკანოვი (26 კომ. რ.) —672, ჭოკით—ვ. ზუბკო (ლენ. რ.) — 380, სამხტომი — ე. ცინცაძე (1 მაის. რ.) — 13,58, ბირთვი — რ. ლომინაშვილი (ორჯ. რ.) — 13,85, ურო — ი. ჩერკაშინი — 48,77, ბადრო — ა. ერშოვი — 46,08, შუბი — ი. შამშურინი (ყველანი — 26 კომ. რ.) — 49,80, ათჭიდი — გ. ჯინჭარაძე (კალინ. რ.) — 4131, ესტაფეტა 4×100 მ — 1 მაისის რაიონი — 44,8.

## სიგელები დაიმსახურეს

მინსკში ჩატარდა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების სტუდენტთა XIII საკავშირო კონფერენცია.

საქართველოდან კონფერენციაზე წარგზავნილი ვიყავით ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი, დოცენტი ზ. კოვზირიძე, III კურსის სტუდენტი მ. დიბიროვი და ამ სტრიქონების ავტორი. დიბიროვმა წაიკითხა მოხსენება — „დაღესტნელთა ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებანი წარსულში" (მეცნიერი ხელმძღვანელი, დოცენტი ვ. ელაშვილი), ჩემი თემა კი მოკლე მანძილზე რბენის კოორდინაციულ თავისებურებათა საკითხებს ეხებოდა (მეცნიერი ხელმძღვანელი, მასწავლებელი ა. მჭედლიშვილი). ორივე მოხსენებამ სიგელი დაიმსახურა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები უკვე შევუდექით მზადებას მომავალი — XIV საკავშირო კონფერენციისთვის, რომელიც გაისად გაიმართება ვოლგოგრადში.

**მ. ტუღუში,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, II კურსის სტუდენტი.**

**მოსკოვი,** 18 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა შარშანდელ ჩემპიონს ნ. ალექსანდრიას.

* * *

ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს თბილისის ნ[?]-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელს, 16 წლის ნანა ალექსანდრიას. ნიჭიერი გოგონა წარმატებით გამოდის საკავშირო და რესპუბლიკურ ტურნირებში. მისი ნიჭის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ქარსელაძეს.



[illegible]

### თბილისი

„განთიადის" სპორტდარბაზში დამთავრდა ამ საზოგადოების საქალაქო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებათა 80 გუნდის წარმომადგენლები. I ჯგუფში ყველას აჯობა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გუნდმა.

**ი. ხაბეიშვილი.**

### ბათუმი

საინტერესოდ ჩატარდა ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 გუნდი. ფინალური მატჩი გაიმართა ბათუმის კოფეინისა და ელექტროხელსაწყოების ქარხნების გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა კოფეინის ქარხნის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 3:0.

**ო. მურვანიძე.**

### ახალციხე

ამ დღეებში ჩატარდა მძლეოსანთა შეჯიბრება „კომკავშირულ პრიზზე". ასპარეზობაში 160-ზე მეტი კომკავშირელი მონაწილეობდა. 100 მეტრზე რბენაში I ადგილზეა ო. ბექაური (11,0). მანვე გაიმარჯვა 200-მეტრიან დისტანციაზე (23,3). სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა ნ. გარსევანიშვილმა (640 სმ). საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ახალციხის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლამ.

**მ. იაძე,**
**ახალციხის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**

### თერჯოლა

„კოლმეურნის" რაისაბჭოს მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში 20 კაცმა მიიღო მონაწილეობა. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ზედა სიმონეთის, 2. ჭოგნარის, 3. გოდოგნის კოლმეურნეობები, ხოლო პირადში — 1. ე. ჭუმბურიძე, 2. ჯ. ჭუმბურიძე (ორივენი — სოფ. ზედა სიმონეთი), 3. კ. ბასილაძე (სოფ. ჭოგნარი).

**ლ. ჯიშიაშვილი.**

## წინაა შესარჩევი...

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში საქართველოს 18 უმაღლესი სასწავლებლიდან მხოლოდ ოთხმა — ფიზკულტურის, სამედიცინო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებმა და სამხატვრო აკადემიამ არ მიიღეს მონაწილეობა.

არ გვეგულება სახეობა, რომ უფრო პოპულარული იყოს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სოფლად თუ ქალაქად, დიდი და პატარა მაგიდის ჩოგბურთს თამაშობს. ყველა-ყველა და უმაღლესი სასწავლებელი ამ სახეობაში რომ გუნდის დაკომპლექტებას ვერ შეძლებს, განა საპატიებელია?

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა შეჯიბრება. I ჯგუფის გუნდებში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობის ბედი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ჩოგბურთელთა შეხვედრამ გადაწყვიტა. მანამდე ამ ორმა გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა. ბოლო მატჩში მომავალმა ინჟინრებმა უფრო იმარჯვეს (9:4) და I ადგილიც მათ დარჩათ. III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებს, რომლებმაც 2 შეხვედრა მოიგეს (გორისა და თბილისის პედინსტიტუტებთან) და 2 წააგეს (პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებთან და უნივერსიტეტელებთან).

II ჯგუფის გუნდებიდან ეჭვს არ იწვევდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენთა გამარჯვება. მათ ოთხივე მეტოქე (ქუთაისის პედაგოგიური, თბილისის უცხო ენების, სოხუმის პედაგოგიური და სუბტროპიკული ინსტიტუტების გუნდები) დიდი ანგარიშით დაამარცხეს (შესაბამისად, 9:3, 9:2, 9:1, 9:0) და პირველობაც დაისაკუთრეს.

ბათუმის მაგიდის ჩოგბურთელებს თამამად შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ I ჯგუფის ნებისმიერ მონაწილეს. მაგრამ სტუდენტთა თამაშების დებულება ცალკეულ სახეობათა მიხედვით როდი იწერება. ეს იქნებ სწორიცაა, ვინაიდან კომპლექსურ შეჯიბრებაში ერთი სახეობით ფონს ვერ გახვალ. სხვა საქმეა სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრება, სადაც უეჭველად ყოველ სახეობაში რესპუბლიკის უძლიერესი გუნდი უნდა იქნას წარმოდგენილი. და აი, ბათუმელებს უფლება მიეცათ შესარჩევი მატჩი გამართონ I ჯგუფში გამარჯვებულ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივთან. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, თუ ვინ დაიცავს მაგიდის ჩოგბურთელთაგან რესპუბლიკის ღირსებას სტუდენტთა საკავშირო თამაშებში.

II ჯგუფში დანარჩენი საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ქუთაისის პედაგოგიური და თბილისის უცხო ენების ინსტიტუტების გუნდებს.

III ჯგუფში სულ 4 გუნდი მონაწილეობდა. ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. თელავის პედინსტიტუტი, 2. ცხინვალის პედინსტიტუტი, 3. კონსერვატორია, 4. თეატრალური ინსტიტუტი.

**ჯ. კაციტაძე.**

## საქართველოს სტუდენტთა თამაშები

**მხოლოდ ტექნიკური შედეგები...**

**გუნდური ჩათვლა.** 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. უნივერსიტეტი.

**პირადი ჩათვლა. მჩატე წონა.** 1. ვ. კამალოვი (უნივ.) — 267,5 კგ; 2. ა. პაპისმედოვი (ფიზკ. ინსტ.)— 267,5; 3. ი. ილურიძე (უნივ.) — 235.

**ქვემსუბუქი:** 1. დ. შანიძე (ფიზკ. ინსტ.) — 335 კგ; 2. ა. სურმანიძე (უნივ.) — 330; 3. ზ. ბენდიანიშვილი (გორის პედინსტ.) — 262,5.

**მსუბუქი:** 1. გ. გაბეშია (პოლიტექნ. ინსტ). — 315 კგ; 2. ზ. ნინუა (ფიზკ. ინსტ.) — 300; 3. ჯ. ანდღულაძე (პოლიტექნ. ინსტ.) — 290.

**ქვესაშუალო:** 1. გ. მკრტჩიანი (ფიზკ. ინსტ.) — 367,5 კგ; 2. თ. ტყეშელაშვილი (უნივ.) — 362,5; 3. გ. კამალოვი (უნივ.) — 350.

**საშუალო:** 1. ო. დემუროვი (ფიზკ. ინსტ.) — 385 კგ; 2. ო. ბედოშვილი (ფიზკ. ინსტ.) — 355; 3. ტ. ცერალოვი (უნივ.) — 340.

**ქვემძიმე:** 1. დ. მუშკუდიანი (უნივ.) — 410 კგ; 2. ნ. ზუბიტაშვილი (ფიზკ. ინსტ.) — 402,5; 3. დ. ქათამაძე (ქუთაისის პედინსტ.)— 375.

**მძიმე:** 1. დ. შავოშვილი (პოლიტექნ. ინსტ.) — 405 კგ; 2. ვ. აფციაური (ფიზკ. ინსტ.) — 365.

**ზემძიმე:** 1. გ. სანიკიძე (უნივ.) — 415 კგ; 2. დ. ფხაკაძე (პოლიტექნ. ინსტ.) — 375.

**ძალოსნობა**



მოსკოვის ესტრადის თეატრი მრავალქიმიან ხომალდს მოგაგონებთ, რომელსაც პატარა საჭადრაკო მაგიდა ამოძრავებს. ამ მაგიდაზე „ჭადრაკის მეფის" საკითხი წყდება. დიდოსტატთა ყოველ სვლას სათანადო ექო აქვს როგორც პრეს-ცენტრში, ისე თეატრის გულშემატკივრებით სავსე ფოიეში, დერეფნებსა და კულუარებში. უნდა დავძინოთ: მთელს ჩვენს პლანეტაზე, ყველგან, სადაც კი თუნდაც ერთი მოჭადრაკე არის.

ესტრადის თეატრში გულშემატკივრები თამამად შეიძლება ორ ბანაკად დაყო — პეტროსიანელებად და სპასკელებად. სხვათა შორის, ისინი ძნელი გამოსარჩევი როდი არიან, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ფოიეში მ. ტალი ან ლ. შტეინი საჯაროდ აჩვენებს პარტიის შეფასებას. ყოველი გულშემატკივარი თავისი კერპის პოზიციის დაცვას ცდილობს.

არის გულშემატკივართა გამოცნობის კიდევ ერთი ნიშანი: ყველა შავგვრემანი მსოფლიო ჩემპიონის ქომაგია. ისინი

## გულ

უპირატესად სამხრეთელები არიან. ანდა, რა გასაკვირია, ერევნელ კაცს რომ პეტროსიანის გამარჯვება სურდეს. არც თბილისელთა თავგამოდება გაუგებარი, — პეტროსიანი თბილისში აზიარა ჭადრაკს ქართველმა ოსტატმა ა. ებრალიძემ.

ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს სპასკისაც.

არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგრჩეთ ვეება, ვაჟკაცური იერის მამაკაცი, წარსულში გამოჩენილი ძალოსანი, მსოფლიოს რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ამბარცუმიანი. იგი მუდამ აქაა, „ბრძოლის ველზე". თავს ევლება ტიგრანს. დიდოსტატები მას „პეტროსიანის პირად დაცვას" უწოდებენ ხუმრობით. სერგო ჩემპიონს არავის „ანდობს", თვითონ „მოყავს" ესტრადის თეატრში, თამაშის შემდეგ კი შინ აცილებს. აი, მოსკოველი ჟურნალისტის ბ. ტუროვის მიერ გადაღე-

# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● „ოდიში" (ზუგდიდი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი ი. კუხიდი (ბათუმი).

ანგარიში 21-ე წუთზე გახსნეს მასპინძლებმა (ჯგერენაია), მაგრამ ლიდერმა მაინც შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. მეორე ტაიმში ზესტაფონელები სრული ძალით ათამაშდნენ და ჯანშიევისა და სხილაძის მიერ გატანილი ბურთების შემდეგ გაიმარჯვეს კიდეც.

● „მალაროელი" (ჭიათურა) — „სინათლე" (თბილისი) 0:2. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

პირველ ტაიმში ჭიათურელებს ინიციატივა ჰქონდათ, მაგრამ ვერ შეძლეს მისი გამოყენება, შესვენების შემდეგ კი უპირატესობამ „სინათლის" მხარეს გადაინაცვლა: ჯერ ჯამროლიძემ, ხოლო შემდეგ გიორგობიანმა ზუსტად დაამთავრეს თავიანთი გუნდის იერიშები.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:1. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

● „ქართლი" (გორი) — „დინამო" I (თბილისი) 1:0. მსაჯი მ. მელქუ (თბილისი).

● „ისანი" (თბილისი) — „ირისტონი" (ცხინვალი) 0:0. მსაჯი შ. ჩნოიანი (მახარაძე).

დისციპლინის უხეში დარღვევისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა თბილისელი კაპუსტინი და ცხინვალელი გაგიევი.

● ასკ (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1. მსაჯი ი. ბოპორაძე (თბილისი).

თამაში დაიწყო სწრაფ ტემპში და პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ ანგარიში 28-ე წუთზე გახსნა არმიელმა კაპანაძემ. რამდენიმე წუთის შემდეგ ბახრამოვმა კარგად გამოიყენა სალუქვაძის გადაცემა და გაიტანა საპასუხო გოლი.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 2:1. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

გათამაშების ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა აღინიშნა სიურპრიზით: „ბახმარომ" დიდი მონდომებით, ენერგიულად ითამაშა და დაამარცხა ძლიერი მეტოქე. მართალია, პირველი ბურთის ავტორები სტუმრები იყვნენ, მაგრამ ჩოხატაურელებმა გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა გამოამჟღავნეს და მოიგეს კიდეც მატჩი. საპასუხო გოლი გაიტანა თავბერიძემ, ხოლო გადამწყვეტი — ვასაძემ.

● „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:3. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

მატჩი მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში და ტაიმი დამთავრდა ლანჩხუთელთა სასარგებლოდ—1:0 (ბურთი გაიტანა კვირკველიამ). მეორე ტაიმის დასაწყისში ზარანდიამ გაქვითა გოლი, რის შემდეგ გუნდს კიდევ ჰქონდა ბურთის გატანის შესაძლებლობა. ეს მომენტები მეშახტეებმა ვერ გამოიყენეს, რის შემდეგ ინიციატივამ „გურიის" მხარეს გადაინაცვლა. საბოლოოდ, სტუმრებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „შუქურა" (ქობულეთი) 3:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მიუხედავად წალენჯიხელთა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობისა, ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. მხოლოდ მეორე ნახევარში შეძლეს მასპინძლებმა თავიანთი ხშირი იერიშების შედეგიანად დამთავრება.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ნარინჯი" (ბათუმი) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

ბათუმელებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (ქუთაისი) 5:2. მსაჯი გ. პოლოსიანი (თბილისი).

## II ქვეჯგუფი

### I ზონა

„კოლმეურნე" (მარნეული) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „არაგვი" (მცხეთა) 3:2, „სამცხე" (აწყური) — „არაგვი" (დუშეთი) 1:0, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობა — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:3, „თრიალეთი" (წალკა) — „შირაქი" (წითელწყარო) 1:1.

### II ზონა

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „აერო" (გალი) 1:1, „კოლხეთი" (ხობი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:0, „კოლხიდმშენი" (ფოთი) — „ზემო ქართლი" (ხაშური) 1:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „ცისარტყელა" (თბილისი) 2:0, „ლაითური" (მახარაძე) — „მშენებელი" (ჭიათურა) 1:0.

მოგვყავს ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირის შედეგები:

I ქვეჯგუფი. „ალაზანი" (გურჯაანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:2, „მეტალურგი" (რუსთავი) — „დილა" (გორი) 1:2, საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „შრომითი რეზერვები" (თბილისი) 3:2, „ტორპედო" (ქუთაისი) — ინტერნატი № 2 (გლდანი) 0:1.

II ქვეჯგუფი. „ენგური" (ზუგდიდი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0, „კოლხიდა" (ფოთი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 1:0, „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:2, საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „დინამო" (ბათუმი) 0:0.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 16 მაისისათვის

### I ჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 9 | 8 | 0 | 1 | 17—4 | 16 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 10 | 6 | 2 | 2 | 19—9 | 14 |
| „სინათლე" (თბილისი) | 9 | 5 | 3 | 1 | 16—5 | 13 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 9 | 5 | 1 | 3 | 8—9 | 11 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 8 | 3 | 4 | 1 | 8—5 | 10 |
| „ისანი" (თბილისი) | 9 | 3 | 2 | 4 | 4—4 | 8 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 9 | 2 | 4 | 3 | 7—8 | 8 |
| „ქართლი" (გორი) | 8 | 3 | 1 | 4 | 5—9 | 7 |
| „ირისტონი" (ცხინვალი) | 9 | 2 | 3 | 4 | 5—9 | 7 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 9 | 1 | 2 | 6 | 5—26 | 4 |
| „დინამო" I (თბილისი) | 6 | 1 | 0 | 5 | 11—13 | 2 |
| „დინამო" (სოხუმი) | 7 | 0 | 2 | 5 | 4—7 | 2 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 8 | 6 | 1 | 1 | 14—5 | 13 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 9 | 5 | 2 | 2 | 16—10 | 12 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 9 | 4 | 3 | 2 | 15—5 | 11 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 9 | 4 | 3 | 2 | 16—10 | 11 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 9 | 3 | 4 | 2 | 6—9 | 10 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 9 | 3 | 4 | 2 | 10—13 | 10 |
| ასკ (თბილისი) | 8 | 2 | 5 | 1 | 10—8 | 9 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 9 | 2 | 5 | 2 | 8—10 | 9 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 9 | 3 | 2 | 4 | 13—11 | 8 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 9 | 2 | 3 | 4 | 6—10 | 7 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 9 | 1 | 3 | 5 | 9—16 | 5 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 9 | 0 | 1 | 8 | 6—22 | 1 |





შარშან ივნისში თბილისის ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში მოეწყო ევროპის უძლიერეს წყალში მხტომელთა ასპარეზობა. და აი, 14-15 მაისს იგივე აუზი მასპინძლობდა გდრ-ის სპორტსმენებს, რომლებიც ერთ-ერთ უძლიერესებად ითვლებიან არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოშიც. ნათქვამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ი. კრემერი XVII და XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია.

სამწუხაროდ, თბილისელები ამჯერად ვერ დატკბნენ ამ შესანიშნავი სპორტსმენი ქალის მაღალი ოსტატობით: იგი უქეიფოდ იყო და შეჯიბრებაში ვერ გამოვიდა. მაგრამ გდრ-ის გუნდი უმისოდაც საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენს. სტუმართა რიგებში არიან ტოკიოს ოლიმპიადის IV პრიზიორი ჰ. პოფალი, ევროპის 1965 წლის თასის პრიზიორები მ. დელიტჩი, დ. რაინკარდტი, ახალგაზრდა სპორტსმენი ლ. მატესი და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის წყალში მხტომელებისთვის ეს შეჯიბრება, ფაქტიურად, მეორე გამოცდა იყო საერთაშორისო სარბიელზე. სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. ქალთა შორის როგორც კოშკიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომა მოიგო მ. დელიტჩმა (შესაბამისად 98,85 და 133,90 ქულა). ვაჟებშიც გერმანელებმა გაიმარჯვეს. კოშკიდან ხტომა მოიგო ლ. მატესმა (158,56 ქულა), ხოლო ტრამპლინიდან ხტომა — ჰ. პოფალმა (157,30).

საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ა. კალიაგინას, რომელმაც 88,42 ქულით III ადგილი დაიკავა კოშკიდან ხტომაში, ხოლო ტრამპლინიდან ხტომაში V იყო (123,30). ი. გუტიაკულოვმა ტრამპლინიდან ხტომაში 127,82 ქულა დააგროვა და VI ადგილზე გავიდა.

სურათებზე: მარცხნივ — მ. დელიტჩი; მარჯვნივ — ჰ. პოფალი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ახალი ამბები

● ვარშავა, 17 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის VIII ეტაპი პოლონეთის დედაქალაქის გარშემო გაიმართა. სპორტსმენებს 4 წრე უნდა შემოევლოთ (108 კმ). გაიმარჯვა ფრანგმა ა. დევაჟმა — 2:31.00. II ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიელი ი. სმოლიკი, ხოლო III — ბულგარელი ი. ბობეკოვი. 8 ეტაპის ჯამში კვლავ ლიდერობს ფრანგი ბ. გიუიო. II ადგილზეა ა. დოხლიაკოვი (სსრ კავშირი). გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრები 3 წუთსა და 53 წამს უგებს II ადგილზე მყოფ პოლონელებს.

● „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების 17 მაისს გამართული კალენდარული მატჩების შედეგები საკავშირო პირველობაზე ასეთია: „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) — „დინამო" (მახაჩყალა) 3:0, „უროჟაი" (დერბენტი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:3.

## გუშინ...

## 2:1

პრაღის „სპარტას" სტადიონზე გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა I ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი.

შეხვედრის პირველსავე წუთზე საბჭოთა კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა, ვორონინმა უხეშად ითამაშა და ფრანგმა მსაჯმა შმიტემ სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. მაგრამ მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის შესაძლებლობა.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მეტრეველი — მალაფეევი — ბანიშევსკის სწრაფი კომბინაცია მასპინძელთა კარის აღებით აღინიშნა.

შესვენების შემდეგ ტემპი კვლავ მაღალი იყო. 53-ე წუთზე ჩეხოსლოვაკიელმა თავდამსხმელმა ადამეცმა შესანიშნავი საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1.

მატჩის დასასრულამდე 12 წუთით ადრე ბანიშევსკიმ კვლავ დააწინაურა საბჭოთა ნაკრები — 2:1. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბანიკოვი, დანილოვი, შესტერნიოვი, ვორონინი, პონომარიოვი, საბო, სერებრიანიკოვი, მეტრეველი, ბანიშევსკი, მალაფეევი (კოპაევი), ჩისლენკო.

## გულშემატკივრები

...ული სურათი: გულშემატკივრები მსო... ...ლიო ჩემპიონს ესტრადის თეატრთან ...ებიან. პეტროსიანის უკან კარ... ...დ ჩანს სერგო ამბარცუმიანიც.

— ერევნელები დიდად დაინტერესე... ...ლი არიან მატჩით, — მითხრა ერე... ...ის ფიზკულტურის ინსტიტუტის რე... ...რმა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ...ნდიდატმა, ჭადრაკში სპორტის ოს... ...ტმა ლ. კალაშიანმა. — ტელევიზია ...ველ ნახევარ საათში გადაცემს და სა... ...ნადო კომენტარსაც უკეთებს პარტიის ...ვლილობას. პარტიის დემონსტრაცია ...ება, აგრეთვე, ქალაქის 30 დაწესე... ...ლებასა და საწარმოში. მაგრამ გულ... ...მატკივრები ამით არ კმაყოფილდე... ...ან. ბევრი უკვე მოსკოვშია, ბევრიც ...მოსავლელად ემზადება.

ჟურნალისტებმა გულშემატკივართა ...ვისმერად მონათლეს 83 წლის გორ... ...ლი ექიმი ვ. კალაშნიკოვი. როგორც ...თონ ამბობს, კალაშნიკოვი შეხვედ...რია ა. ალიოხინსა და ა. ნიმცოვიჩს, გაუმარჯვია კიდეც. შემდეგ კი გულშემატკივრის სარბიელზე გადაუნაცვლებია და თითქმის არც ერთი დიდი ასპარეზობა არ გამოუტოვებია.

დარბაზში შესვლებით გამოჩენილ მეცნიერს, აკადემიკოს ა. სტრუმილინს, რომელიც ჩვენი ნონას დიდი ქომაგია, მევიოლინე დ. ოისტრახს და ცნობილ პიანისტს, პროფესორ ი. ფლიერს, საბჭოთა კავშირის გმირს, „პაპანინელ" ე. კრენკელსა და კინომსახიობ ნ. რიბნიკოვს. ისინი თავდადებული მოჭადრაკეები არიან. მაგალითად, ოისტრახი ოსტატობის კანდიდატიცაა. 30-იან წლებში მისმა საჭადრაკო მატჩმა გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორთან ს. პროკოფიევთან უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ხელოვნების მოღვაწეთა წრეებში. ხუმრობა ხომ არ იყო, პროკოფიევს თვით კაპაბლანკასთან უთამაშია!

— დრო თუ ეყო, აუცილებლად მაჩემი მოიგებს, — დინჯად უმტკიცებს ამხანაგებს მსოფლიო ჩემპიონის ვაჟი, 12 წლის ვართანი.

ვართანი კარგად თამაშობს ჭადრაკს, მაგრამ ყაიმები არ უყვარს. სკოლაში მას ტოლს ვერავინ უდებს.

სტარტზე სპასკის წარუმატებელი თამაში გულს ტკენდა მის დას ირაიდას — სსრ კავშირის „№ 1 მოშაშე ქალს". ახლა ირაიდა უკეთეს გუნებაზეა...

გულშემატკივრებისთვის ესტრადის თეატრში საჭადრაკო ლიტერატურის ჯიხური გახსნეს, სადაც ცხელ-ცხელი ჟურნალ-გაზეთები და ახალი წიგნები იყიდება. აქ მუდამ ხალხმრავლობაა.

— თამაშის დაწყებიდან 3 საათი: მერე ვაჭრობას ვეღარ ავუდივართ. არ ვიცი პირდაპირ, რა ამგელებს ამ ხალხს, — თავისი „გასაჭირი" გამიზიარა მებუფეტე ქალმა. — კიდევ კარგი, მაგარი სასმელები არა გვაქვს, თორემ ყოველი გამარჯვების შემდეგ აქ ნამდვილი ლრეობა გაიმართებოდა. დიდი უცნაური ხალხია ეს გულშემატკივრები.

ნამდვილად სხვანაირია ჭადრაკის გულშემატკივარი. ვის შეუძლია გარინდული იჯდეს 30-40 წუთი ერთი სვლის მოლოდინში, თუ არა ჭადრაკის ქომაგს? ვის შეუძლია მდუმარედ გაატაროს მთელი საღამო და გულისნადები არავის გაუზიაროს, თუ არა ჭადრაკის გულშემატკივარს? თუმცა არიან გამონაკლისებიც: ერთ ადგილზე დიდხანს ვერ იცდიან და გულს საუბრით იოხებენ. მათთვის სწორედ ზედგამოჭრილია ფოიე, სადაც პარტიებს არჩევენ. დიდოსტატთა თამაშით აგულიანებულს, ბევრს თავადაც სურს ძალა ცადოს. მათთვის დერეფნებში მოსკოველი ოსტატები ერთდროული თამაშის სეანსებს ატარებენ. ეწყობა კონკურსები ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში. ერთი სიტყვით, არც ერთი გულშემატკივარი არ რჩება უყურადღებოდ.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი — თბილისი.

## ქალებმა სტარტი აიღეს

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა საქართველოს ქალთა საჭადრაკო პირველობის I ტური. ჩაიკოვსკაიამ მოუგო ლოლიაშვილს, მანველოვამ — ბაძალუას, ხუბულურმა — სვანაძეს, ნაჭყებიამ — ჩხიკვაძეს, კახაბრიშვილმა — ივანოვას. ყაიმით დამთავრდა გიორგაძე — შენგელიას შეხვედრა. ხუგაშვილი — გოგიავას პარტია გადაიდო, ხოლო ჩიქობავა — ბელოზიორთვას შეხვედრა არ შედგა.

# გადამწყვეტი ბრძოლების წინ

კიევი, 18 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 20 მაისს აქ სტარტი ეძლევა სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის დასკვნით ტურს, ხოლო 26 მაისს უკვე ცნობილი იქნება წლევანდელი ჩემპიონი. აქამდე სულ ოთხჯერ ჩატარდა სპორტის ამ სახეობაში საკავშირო პირველობა და თბილისელებმა ოთხჯერვე დიდ წარმატებას მიაღწიეს: — 1962 წელს I ადგილი დაიკავეს, 1963 წელს — III, 1964 წელს — კვლავ I, ხოლო 1965 წელს — II. ეს პატარა მიღწევა როდია. თანაც, აბა, დაუკვირდით: ქართველი ხელბურთელები I ადგილზე წყვილ წელიწადებში გადიან. ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ წლეულს ჩვენმა სპორტსმენებმა უნდა გაიმარჯვონ...

წლევანდელი, V ჩემპიონატი თბილისის „ბურევესტნიკმა“ ურიგოდ როდი დაიწყო. რიგის ტური მან დაუმარცხებლად განვლო და ქულათა მაქსიმუმით (10) გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. ეს ერთგვარად იმის სტიმულს იძლევა, რომ ჩვენებს კვლავ აქვთ შანსი პრიზიორთა სამეულის, ვთქვათ, ბოლო საფეხურზე მაინც მოხვდნენ. თუმცა, არც ეს იქნება იოლი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ახლანდელი მეტოქეები უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ის გუნდები, რომლებთანაც თბილისელებს რიგაში ჰქონდათ საქმე. კიევში ჩვენს წინააღმდეგ ითამაშებენ კაუნასის „ჟალგირისი“, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, მოსკოვის „სპარტაკი“, ბაქოს „დინამო“ და კიევის ასკ. ყოველ მათგანს არათუ მედგარი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია, არამედ...

ჩვენი დედაქალაქის „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში არიან: აბაიშვილი, ხუციშვილი, ცერცვაძე, ექსეულიძე, ბაგრატიონი, ფხაკაძე, კარტოზია, კოპალეიშვილი, ზარდალიშვილი, სხიერელი და გაზდელიანი (ანთაძე გუნდის შემადგენლობაში არაა იმის გამო, რომ ახლახან მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა. ეს გარემოებაც, უთუოდ, გარკვეულ დაღს დაასვამს „ბურევესტნიკის“ თამაშს). ასეა თუ ისე, გუნდმა ძალა არ უნდა დაიშუროს. ერთი სიტყვით, საბრძოლო განწყობილება არის, არის ბურთი და მოედანიც — კიევის შესანიშნავი სპორტის სასახლე.

ჯ. ენუქიძე.

გთავაზობთ კიევის ტურის თამაშების კალენდარს და გათამაშების ცხრილს, რომელიც დასკვნითი ტურის წინ ასახავს მდგომარეობას.

## გათამაშების კალენდარი

**20 მაისი. „დინამო“ (ბაქო) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი),** საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „კუნცევო“ (მოსკოვი), „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — „ბოლშევიკი“ (ლენინგრადი), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ტირასპოლის გუნდი, ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დაუგავა“ (რიგა).

**21 მაისი.** „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — „ჟალგირისი“, ტირასპოლი — ასკ, „კუნცევო“ — „სპარტაკი“, „ბოლშევიკი“ — საავიაციო ინსტიტუტი, **„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ალუმინსტროი“**, „დაუგავა“ — „დინამო“.

**22 მაისი:** „ჟალგირისი“ — ტირასპოლი, ასკ — „კუნცევო“, „სპარტაკი“ — „ბოლშევიკი“, **საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)**, „ალუმინსტროი“ — „დაუგავა“, „დინამო“ — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი).

**24 მაისი:** „კუნცევო“ — „ჟალგირისი“, „ბოლშევიკი“ — ასკ, **„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“**, „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — „ალუმინსტროი“, ტირასპოლი — „დინამო“, „დაუგავა“ — საავიაციო ინსტიტუტი.

**25 მაისი:** „ჟალგირისი“ — „ბოლშევიკი“, **ასკ — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)**, „სპარტაკი“ — „დაუგავა“, საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი), „ალუმინსტროი“ — ტირასპოლი, „დინამო“— „კუნცევო“.

**26 მაისი: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ჟალგირისი“**, „დაუგავა“ — ასკ, „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“, ტირასპოლი — საავიაციო ინსტიტუტი, „კუნცევო“ — „ალუმინსტროი“, „ბოლშევიკი“ — „დინამო“.

## გათამაშების ცხრილი

### მდგომარეობა დასკვნითი ტურის წინ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 5 | 5 | 0 | 0 | 117—94 | 10 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 5 | 4 | 1 | 0 | 96—84 | 9 |
| „კუნცევო“ (მოსკოვი) | 5 | 4 | 0 | 1 | 107—71 | 8 |
| „ბოლშევიკი“ (ლენინგრადი) | 5 | 3 | 0 | 2 | 97—92 | 6 |
| „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) | 5 | 2 | 2 | 1 | 70—71 | 6 |
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 5 | 2 | 0 | 3 | 92—82 | 4 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 5 | 2 | 0 | 3 | 90—89 | 4 |
| „დინამო“ (ბაქო) | 5 | 1 | 2 | 2 | 76—80 | 4 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 5 | 2 | 0 | 3 | 96—109 | 4 |
| ასკ (კიევი) | 5 | 1 | 1 | 3 | 85—103 | 3 |
| ტირასპოლის გუნდი | 5 | 1 | 0 | 4 | 101—120 | 2 |
| „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) | 5 | 0 | 0 | 5 | 82—114 | 0 |

### ფეხბურთი

**მონტევიდეო,** 16 მაისი. **სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „პენიაროლი“ (ურუგვაი) — „რივერ პლეიტი“ (არგენტინა). I ფინალური მატჩი. 2:0 ურუგვაელთა სასარგებლოდ.**

**სან-პაულუ,** 17 მაისი. **აქაური შტატის ნაკრები ემზადება ევროპაში ტურნესთვის. პირველი მატჩი — 29 მაისს მოსკოვში სსრ კავშირის ნაკრებთან. შემდეგ ბრაზილიელები გამოვლენ შვეციაში, ირლანდიასა და გფრ-ში.**

### ძალოსნობა

**ნოვოსიბირსკი,** 17 მაისი. **სსრ კავშირის ძალოსანთა ჩემპიონატი.** ლენინგრადელმა ს. შულეიცკიმ (ქვემძიმე წონა) დაამყარა ამ შეჯიბრებაში პირველი საკავშირო რეკორდი — აკრა 188 კგ. ამ წონაში საპრიზო ადგილები: 1. ე. ბროვკო (დნეპროპეტროვსკი) — 475 კგ; 2. ი. ტალტსი (კიევი) — 475; 3. ე. სტეპანჩენკო (ალმა-ათა) — 465.

### მოტოკროსი

სტოკჰოლმი, 16 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატი 500 კბ სმ მანქანების კლასში. V ეტაპი. ადგილები: 1. ი. იუჰანსონი, 2. ბ. აბერტი (ორივენი — შვეცია), 3. ვ. ვალეკი (ჩეხოსლოვაკია), 4. ი. გრიგორიევი (სსრ კავშირი). ლიდერები პ. ფრიდრიქსი (გდრ) და რ. ტიბლინი (შვეცია) ამჯერად ჩასათვლელ ექვსეულში ვერ მოხვდნენ. 5 ეტაპის შემდეგ ისინი მაინც ინარჩუნებენ ლიდერობას: 1. ფრიდრიქსი (30 ქულა), 2. ტიბლინი (21). გრიგორიევი VIII ადგილზეა (6 ქულა). შემდეგი ეტაპი — 22 მაისს ფინეთში.

ბრლშტაინი (გფრ), 16 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატი 250 კბ სმ მანქანების კლასში. VI ეტაპი. გაიმარჯვა ბელგიელმა ჟ. რობერმა. ვ. არბეკოვმა III ადგილი დაიკავა. იგი 6 ეტაპის ჯამშიც მესამეა (16 ქულა). ლიდერობს ტ. ჰალმანი (40 ქულა). II ადგილზეა რობერი (24).

### ტანვარჯიში

**ნანტი,** 16 მაისი. **ქალთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი:** საფრანგეთის ნაკრები — სსრ კავშირის II ნაკრები. 370,45:379. საბჭოთა სპორტსმენი ქალები საუკეთესონი იყვნენ როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერ პროგრამაში. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა მასპინძელმა ე. ლეტურხერმა — 76,35 ქულა. მომდევნო 4 ადგილი დაიკავეს საბჭოთა ქალებმა. მათ შორის საუკეთესო იყო ო. ხარლოვა — 76,15.

### წყალბურთი

**მაგდებურგი,** 16 მაისი. **უძლიერესი ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრებმა დაუმარცხებლად დაიკავა ... II ადგილი. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — უნგრელებმა მას ბურთების სხვაობით აჯობეს. საბჭოთა გუნდმა მოუგო გდრ-ის (5:4) და შვეციის (5:1) ნაკრებ კოლექტივებს და ფრედ ითამაშა უნგრელებთან — 1:1.**

### მძლეოსნობა

რეკორდები: ფრესნო (კალიფორნია), 16 მაისი. გასულ შაბათს ამერიკელმა რ. სივრენმა ჭოკით 532 სმ სიმაღლე დასძლია, რაც 4 სანტიმეტრით აღემატება ფ. ჰანსენის მსოფლიო რეკორდს. შეერთებული შტატების რეკორდი სამხტომში დაამყარა ა. უოკერმა — 16,56 მ. ლაიფციგი, 16 მაისი. 100 მეტრზე რბენაში ორმა სპრინტერმა დაამყარა გდრ-ის ახალი რეკორდი — 10,2 წამი. ესენი არიან ჰ. ეგერსი და დ. ლევანდოვსკი.

**სიეტლი (აშშ),** 16 მაისი. **3 მილზე რბენაში 20 წლის ჯ. ლინდგრენმა მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა — 12.53,0. ეს მხოლოდ 0,4 წამით ჩამოუვარდება რ. კლარკის (ავსტრალია) მსოფლიო რეკორდს.**

**მხოლოდ ტელეტაიპის შეტყობინები...**

## ურუგვაელთა საგოლოო ტურნე

ურუგვაის ნაკრების მწვრთნელებმა ვიერამ და ლოპესმა განაცხადეს, რომ 12 ივნისამდე გუნდი წვრთნას გაივლის მონტევიდეოში, რის შემდეგ გუნდი საბოლოო ტურნეს იწყებს ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

15 ივნისს ურუგვაელები ტელ-ავივში ხვდებიან ისრაელის ნაკრებს, 19 ივნისს ბუქარესტში — რუმინელებს, 23 ივნისს ლისაბონში — პორტუგალიელებს და 29 ივნისს მადრიდში — ესპანელებს.

ამის შემდეგ ურუგვაელები ინგლისში ჩავლენ და მცირე საწვრთნელ შეკრებას გამართავენ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ.



ცენტრალური ბიბლიოთეკა

## მეგობრის ხსოვნას

შუბლგახსნილი, მომღიმარე, გულთბილი, უაღრესად ამხანაგური ადამიანი — მუდამ ასეთი იყო მალხაზ ერისთავი, სპორტსმენი, მეგობარი და მეოჯახე. სპორტსმენი, რომელიც დღეს აღარაა ჩვენს შორის. მძიმე ავადმყოფობამ გამოგვაცალა იგი ხელიდან ვაჟკაცური სიმწიფის ასაკში.

ჯერ კიდევ ადრე, ბავშვობის წლებში ეზიარა მალხაზ ერისთავი ცხენოსნობას. იგი დაიბადა 1924 წელს, 1938 წელს იგი უკვე გატაცებული იყო ცხენოსნობით, რომელიც მის ოჯახს ტრადიციით მოსდევდა თაობიდან თაობამდე. პირველი ბავშვური გატაცება შეიცვალა ნამდვილი სიყვარულით ამ სახეობის მიმართ და ათეული წლების განმავლობაში მას ვხედავდით საქართველოს ჩემპიონის, ამიერკავკასიის სპარტაკიადების გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, საკავშირო შეჯიბრებათა პრიზიორებს შორის. კოლექტივის ერთგული წევრი, მაღალი კვალიფიკაციის სპორტის ოსტატი მუდამ თავდადებულად იბრძოდა რესპუბლიკის ღირსების დასაცავად.

მ. ერისთავი 1956 წლიდან მუშაობდა მწვრთნელად ცხენოსნობაში და ახალგაზრდობას გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას. 1959 წლიდან იგი იყო ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი და ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე. 1957 წელს მ. ერისთავი დააჯილდოეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ძნელია შეურიგდე აზრს, რომ მალხაზ ვალერიანის ძე ერისთავი ცოცხალი აღარაა. მისი ნათელი სახე, პატიოსანი ვაჟკაცის ხსოვნა წარუშლელი იქნება მახლობლებისა და ამხანაგების გულებში.

ამხანაგების ჯგუფი.



## ესეც თუ კრივია?!

ნუ გგონიათ, ასეთი სცენა პროფესიული კრივისთვის უცხო იყოს. ე. გონსალესისა და ბ. როდრიგესის ბრძოლა, რომელიც სარბიელზე დაიწყო, როგორც ხედავთ, რინგს გარეთ გაგრძელდა. გამძვინვარებული გონსალესის ვნებათა დაოკებას ამაოდ ცდილობს მსაჯი — მოკრივე მზადაა დაახრჩოს მეტოქე. მატჩი, რომელმაც კრივის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მოეწყო აშშ-ის ქალაქ კანზას-სიტიში.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.

## ეუსებიოს ინტერვიუ

ცნობილმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ეუსებიომ ინტერვიუ მისცა სარაევოს გაზეთ „ვეჩერნე ნოვინის“ კორესპონდენტს. აი, რამდენიმე ნაწყვეტი ამ საუბრიდან.

● **რას იტყვით „ბენფიკას“ დამარცხებაზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“?**

— ჩვენი განადგურების მთავარი მიზეზი იქნებ ის იყო, რომ მეტოქემ თავიდანვე სასტიკად შემოგვიტია და ტერიში 90 წუთის განმავლობაში არ შეუწყვეტია.

● **რომელი მატჩი იყო საუკეთესო თქვენს ცხოვრებაში?**

— ეს გახლდათ „რეალთან“ მოგება 1962 წელს, ამსტერდამში (5:3), რის შედეგადაც პირველად მოვიპოვეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

● **როგორია, თქვენი აზრით, სამყაროს იდეალური ნაკრები?**

— მე მას იმ ფეხბურთელთაგან შევადგენ, რომლებიც თავად მინახავს მინდორზე: იაშინი, ჯ. სანტოსი, შნელინგერი, მასოპუსტი, ჯერმანო, ვორონინი, გარინჩა, გრივსი, დი სტეფანო, პელე, სიმოესი. შეიძლება ასეთ გუნდში ჩემთვისაც გამოჩენილიყო ადგილი.

## თასი ლაიპციგელებს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თასი მოიგო ლაიპციგის „ქემიმ“, რომელმაც ფინალში დაამარცხა სტენდალის „ლოკომოტივი“ — 1:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.